№ 251 ნოემბრის 21, ოთხშაბათი. 1866—1884 ნოემბრის 21, ოთხშაბათი. № 251.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ამ ნომერში თოთხმეტი გვერდია.

დღესასწაულის გამო, ხვალ, ხუთშაბათს გაზეთი არ გამოვა.

## მარულა ქუთაისში

ამა წლის დეკემბრის 1-ს ქ. ქუთაისში, ლაგერის მინდვრებზედ მათის უმაღლესობის პრინც ოლდენბურგსკის თავოსნობითა და მფარველობით გამართულ იქმნებიან კერძო მარულანი; საჩუქრები 400, 200, 150, 100 და ნაკლ. მანათისა. დაწვრილებით ცნობანი აფიშებშია. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი პირობანი განუცხადონ ხოპერის პოლკის კანცელიარიაში ბ. ვიშნევეცკის. განცხადებანი მიიღებიან ნოემბრის 30-მდის.

(1—1)

## ქართული თეატრი

დღეს, ნოემბრის 21-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ორი ობოლი**

დრამა ხ-ს მოქმედებად და 8 სურათად, თარგმანი ა. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქნ. ბ. ა. ავალოვისა, მ. მ. საფაროვი-აბაშიძისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და კ. ყიფიანი.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

## შინაური ქრონიკა

═ ზევით ამოიკითხავდით განცხადებას ქუთაისში მარულის გამართვის თაობაზე.

ამ ფრიად სასარგებლო საქმის თაოსნობა უკისრნია მისს უმაღლესობას პრინც ოლდენბურგსკის.

სრულის თანაგრძნობით მივეგებებით ჩვენ ამ კეთილს საქმეს, ვისურვებთ მისს წარმატებას მომავალისათვის. ჭეშმარიტად მადლობის ღირსია მათი უმაღლესობა პრინცი ოლდენბურგსკი ამ საქმის დაწყებისათვის.

═ ნავთლუღში არსებულ ფელდშერების სკოლაზედ ძალიან ცუდი ამბები ისმის. აი, რა გვიამბს ერთმა პირმა, რომელსაც ეს სასწავლებელი თავის თვალით უნახავს: ბავშვები ამ სიცივეში გარედ ფეხ-შიშველა დაიარებიან. რო ვკითხე ამის მიზეზი, ასე მოგვიგეს წაღები დასაკერებლად არის მიცემულიო. საცვალი არა აქვთ, ასე რომ ბავშვები ვიდრე ხევსურულად ერთ წყვილს ტანზედ არ შემოილპობენ, მეორე წყვილს არავინ აღირსებს; საწოლს ოთახში ბევრნი პოლზედა წვანან, რადგან კროვატებზედ ფიცრები ადამის ქამისებურნი არიან და ყოველ გადაბრუნ-გადმობრუნებაზედ ძირს სცვივიან და თავიანთი ტვირთიც თან ჩააქვთ. რა თქმა უნდა რომ საჭმელ-სასმელიც ტანისამოსისა და სადგომის შესაფერი ექნებათ ამ ბედკრულ ბავშვებს...

მართალია, ფელდშერებს მომავალში ძნელი ცხოვრება მოელით და იქნება უარესის ატანაც მოუნდეთ, ვიდრე ეხლა იტანენ, მაგრამ არც ასეთი სპარტანული კანონი ივარგებს,—რომ რაკი მომავალში ცუდს მდგომარეობაში იქნებიან, ბარემ ეხლავე შეაჩვიოთ ამ მდგომარეობას: ვინც გადასარჩენია გადარჩება და ვინც სუსტის აგებულებისაა, ეხლავე მოელოს ბოლო, ის ემჯობინებაო...

═ ფოსტის სტანციის პირ-და-პირ, გოლოვინის პროსპექტზედ, ნოემბრის 8-ს აქეთ გამართულია მუზეუმი ვინტერისა, რომელშიაც მიმსვლელი ერთს ან ორს საათს სიამოვნებით გაატარებს. ჩვენ ვნახეთ ეს მუზეუმი და უნდა მართალი ვსთქვათ, მისი პატრონი ცდილა თავის მუშტრისათვის ახალ-ახალი სანახავი ეჩვენებინა. შესვლისათანავე თქვენ ჰხედავთ წმინდა სანთლის ფიგურებს სრულის ტანისას: ყველაზედ დიდის ტანის კაცს მთელს დედა-მიწის ზურგზედ, მშვენიერს იუდითს, რომელსაც ოლოფერნის მოჭრილი თავი ხელში უჭირავს, ტიპს იტალიელი ავაზაკებისას, სხვა-და-სხვა მითოლოგიურს სურათებს, რომელთაგან ზოგნი მაშინას მოძრაობაში მოჰყავს; უმშვენიერესს ცოლსხვანთქრისას, მთელს რიგს ინკვიზიციისაგან მოგონილი ტანჯვებისას, რომელთ დანახვაზედ ტანში ადამიანს ჟრუანტელი უვლის, მაგრამ ამ სანახავების გარდა, რომელნიც თითქმის ყველა მუზეუმის კუთვნილებას შეადგენენ, კედლების ორთავ მხარეზე ჩამომწკრივებულია პანარამა იმ სანახავებისა, რომელთაც თავ-თავის დროზედ გაზეთებში ბევრი ლაპარაკი აღძრეს: მაგ. პარიჟის გამოფენა, ქუკუევის მიწა-ყრილიდამ მატარებლის გადამსხვრევა, ცეცხლწაკიდებული ვენის თეატრსი; იმპერატორი ალექსანდრეს დაგვირგვინება და სხვ.

═ ორშაბათის სხდომაზედ თბილისის საბჭომ განიხილა სხვათა შორის წინადადება ბ. ნიკოლაძისა დიდი ქუჩის გაყვანის შესახებ ერევნის მოედნიდამ თათრის მოედნამდე და აბანოებამდე და აგრეთვე იმის შესახებ, რომ ქალაქმა, ან მთავრობამ შეისყიდოს ეს აბანოები და ისე მოაწყოს ისინი, როგორც ჰიგიენას შეეფერება. ბ. ნიკოლაძის აზრით ყველაზედ ადვილად ეს მოხერხდება მაშინ, თუ ქალაქი ამ დიდ ქუჩას გაიყვანს ველიამინოვის ქუჩიდამ, ვიწრო ქუჩებზედ, რადგან იქ მამულები უფრო იაფია და ადვილადაც შეისყიდება და შემდეგ ქუჩის გაყვანისა ამ მამულებს ფასი დაედებათ, ასე რომ ქალაქს თითქმის არაფერი დაეკარგება. ამ

«დროების» ფელეტონი, ნოემ. 21-ს

## რომანსი

ღამის ნიავი,
წყნარად მფრინავი,
თავს დასტრიალობს მშვენიერ ქვეყანას
და მსწრაფელ მდინარეს,
დაუმშვიდარეს,
დასტრფის, დასცელქობს, დამღერის ნანას.

აჰა, აღმოხდა მნათობი მკრთალი;
ჩუ!... სალამურმაც დაჰკვნესა მწარედ:
მკერდ-გადაშლილი უმანკო ქალი
ჩაფიქრებულად გამოდგა გარედ.

ღამის ნიავი,
ნაზად მფრინავი,
ამ ციურისკენ მიესწრაფება
და გრძნობის დამტკბობს,
მკერდზედ ორ კოკობს
ჰკოცნის, ეხვევა და ეწაფება.

ტურფავ, რომ მოკვდე, მაგ სალამურით
მოდი ღამ-ღამით ჩემს შავს საფლავზედ
და მაგ ციურის ხმით საამურით
ეგრე მკვნესარედ დამძახე თავზედ.

ღამის ნიავი,
ნაზად მფრინავი,
მკერდზედ ბარბაცობს, ეშხით სთვრება
და გრძნობის დამტკბობს
მაზედ ორ კოკობს
ჰკოცნის, ესვევა და ზედ აკვდება.

ცახელი.

## სამი ვიზიტი.

(აზრი ნემეცურიდამ)

I

შემოდგომის შაბათი დღე თენდებოდა... მოზუზუნებდა ქარი და ნაღვლიანი ბუნება კაცის გულსაც ანაღვლიანებდა. შლაფათო ამინდს ბევრის სალხინო დარბაზი „საოცნებო“ დარბაზად გადაექცია.. არც ბ. მიხეილ მხარელიძეს (როგორც ეძახდენ ერთს ყმაწვილ კაცთაგანს) ააცდინა ამ უწყალო ამინდმა თავისი განსაკუთრებითი ბეჭედი და მისი ყოველთვის ლაღი ცხოვრება ღრუბლის ფერად შემოსა... მიხეილი მომწყვდეულიყო თავის მდიდრულად მორთულს ოთახში და მისცემოდა ოცნებას... ოცნებობდა მიხეილი და თან-და-თან ნაღველი ემატებოდა. ნაღვლიანობდა და თვითონაც კი არ იცოდა, რა იყო ნაღვლის მიზეზი... აიღებდა წიგნს—იწყებდა კითხვას, მაგრამ მისი თვალები ვერას არჩევდენ და გონება წიგნის საგანს ვერა სწვდებოდა... იწყებდა წერას—მის მოწოდებაზე აზრები არა გროვდებოდენ და გაბოროტებული შორს მოისვრიდა ხოლმე კალამს.

— ეს რა ამბავია ჩემს თავს? რამ მამაჯადოვა ასე??. რამ ამირია გონება? რას დაემორჩილნენ ჩემნი გრძნობანი? ნუ თუ უიმედო ტრფიალებას?!. ასე ტრაგიკულად ჩურჩულებდა მიხეილი და ეძლეოდა განუსაზღვრელ მღელვარებას.... „გონება მომჯადოებია, გული შებოჭილია და ფიქრი დაყუჩებული“... ამას დიდი ხანია ვგრძნობ მე და მიზეზიც ვიცი;—ეს მოჯადოება სიყვარულია; უნდა, უნდა ვუშველო რამე ჩემს თავს. დაიკრიფა გულხელი და თვალები ცეცხლით გაჩაღებულს ბუხარს გაუშტერა... თვითოეული ნაპერწკალი თვითო საოცნებო საგანს უსახავდა მიხეილს თვალ-წინ და უძლიერებდენ ცეცხლს მის აჩუხჩუხებულ გულს.

წარმოუდგენ მას თვალ-წინ თვისი საოცნებო საგნები, გულის ვარდები, მისი სიცოცხლის წყაროები... თითქო თვალ-წინ უდგას, ისე წარმოედგინა ოცნებაში მიხეილს ანეტა ზეალმაფრენი სილამაზით, გველივით დახლაკნული ნაწნავებით, სახის ცხოველი გამომეტყველებით, ვარდისებრივი ფეროვნებით; მისი მშვენიერი ფუნთრუშა ხელები და ლერწამივით ტანი ქრქოლასა ჰგვრიდა მიხეილს... წარმოუდგა თვალ-წინ მ... ნუცაც ნამდვილი ქართული—ლამაზი სახით, კეკლუცი მიხვრა-მოხვრით და მშვიდი და ნარნარი ხმით. გამოეთამაშა მის თვალებს დიდგულაანთ თებრო—ეს მზის სხივი, ეს პეპელა, პატარა მარგალიტი.

აი ამათ, ამ არსებათ ჩაბღუჯეს ჩემი გული, დაიმორჩილეს მთლად ჩემი არსება... კაცს ხომ არ შეუძლიან სამ-გვარ არსებათა ერთ გვარი სიყვარული, მაგრამ მე კი ყველა ერთნაირად მიყვარს, ერთ ნაირად თანაუგრძნობს ჩემი გულის-ძგერა

საქმის განსახილველად ამორჩეულ იქმნა კომისია 9 პირისაგან.

ამავე სხდომაზედ გაიმართა ბაასი ჯამაგირის მომატების შესახებ ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე პირთადმი. სხვათა შორის მიანდვეს გამგეობას წარმოადგინოს მოხსენება, თუ როგორ მოიწყოს საუკეთესოდ ბიუროს საქმე, ე. ი. საქმე იმ დაწესებულებისა, რომელსაც ქალაქის ხარჯის აკრეფა აქვს მინდობილი.

== ამ დღეებში გამოვიდა ცალკე წიგნებად «არსენა», დრამა სამს მოქმედებად და ,,დილა ქორწილის შემდეგ‘‘, ვოდევილი ერთს მოქმედებად, თხზულებანი ა. მოჩხუბარიძისა. ორივე წიგნი დიდის სივრცისანი არ არიან, მაგრამ ფასები კი საკმაოდ ბლომი აძევთ. პირველი ღირს 50 კაპ., ხოლო მეორე 30 კაპ.; ვსთქვათ, რომ „არსენა“ კიდევ ჰო, შეიძლებოდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ვოდევილი და მერე ისეთი ვოდევილი, როგორიც არის ,,დილა ქორწილის შემდეგ‘‘ ჯერ რა გადმოსაკეთებელი იყო და მერე—რა დასაბეჭდი, ვინ უნდა წაიკითხოს იგი, თუ არ მარტო სუფლიორმა, ისიც ძლივს წელიწადში ერთხელ.

== კარგა ხანია მას აქეთ, რაც ჩვენს «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» აქვს თარგმანი ერთის სასარგებლო საყმაწვილო წიგნისა, «რობინზონ კრუზო»-სი, რომელიც იახონტოვის რედაქციით არის რუსულად დაბეჭდილი. ამ წიგნის დაბეჭდვა ქართულად დიდს ხარჯს არ მოითხოვს, მით უმეტეს, რომ საჭირო კლიშეები «საზოგადოებას» უკვე შეუძენია პეტერბურგის „წერა-კითხვის კომიტეტისაგან“. დიდად სასურველი იქმნებოდა, რომ ამ საუკეთესო საყმაწვილო წიგნის დაბეჭდვა აეჩქარებინა როგორმე ჩვენს «საზოგადოებას». ეს მით უმეტეს სასარგებლო იქმნებოდა, რომ ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა მეტად ღარიბია და ერთად-ერთი საყმაწვილო ჟურნალი, „ნობათი“, რომლის ნომრებს მოუთმენლად ელოდებიან პატარა მოსწავლენი, კარგა ხანია აღარ გამოსულა.

== თამამშევის ქარვასლიდამ ვორონცოვის ძეგლამდე ,,ჩვენი კონკა‘‘, ცოტა არ იყოს, გვიან-გვიან დაიარება. თუ გეჩქარებათ, გულით რომ გინდოდეთ, ათ შემთხვევაში ერთხელ ძლივს ნახავთ კონკას ხიდის ყურთან და თუ ნახეთ, იმდენ ხანს იცდის, რომ ბევრად მალე მოასწრობთ ფეხით გამოსვლას გოლოვინის პროსპექტზე.

ამას გარდა თვით ის გზაც, რომელიც მუშტაიდისა და რკინის გზის ვაგზალისკენ მიდის, მიხაილოვის ქუჩის ყელში, მეტად ახლოა გაყვანილი ვიწრო ტროტუართან. მოსიარულემ თუ მეტის მეტი სიფრთხილე არ იხმარა, ტროტუარიდამ ფეხის გადაცდენა და კონკის ქვეშ ჩავარდნა ერთი იქნება.

ამ გვარად არის რელსები დაწყობილი მხოლოდ რეალურ სასწავლებლამდე. ნუ თუ არ მოხერხდებოდა შესაძლებელი უბედურების ასაცილებლად ამ მოკლე მანძილზედ რელსები ცოტა ქუჩის შუა გულისკენ შეეწიათ. რომ ორი წყობა რელსები იყოს ამ მანძილზე, მეტის-მეტი ვიწროობა იქნებოდა, მაგრამ რაკი ერთი წყება მლისაბედის ქუჩაზე გადიტანეს, პირველს უნდა ალაგი ეცვალოს და ზედ ტროტუარზე მიჯალღეტილი არ უნდა იყოს. აუცილებლად საჭიროა, ჩვენის აზრით, პოლიციამ და ქალაქმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და მიაწევინოს რელსები ცხენის-რკინის-გზის მმართველობას, მით უმეტეს, რომ ამ ქუჩაზე საშინელი მოძრაობაა ხალხისა, მეტადრე იმ მხარეზედ, რომელზედაც რელსებია და უბრალო შეხვედრას ორის კაცისას შეუძლიან ერთი მათგანი კონკას მისცეს პირში გასაჭყლეტად.

== ყოველს ზამთარს თან მოჰყვება ხოლმე კავკასიის გზების გაფუჭება. აუარებელი ზვავები ჩამოწვება ხან ერთსა, ხან მეორე ადგილსა და ორ-ორ სამ-სამ დღეობით, ზოგჯერ კვირაობითაც მგზავრობა ისპობა ამ გზებზე. ჯერ ჩვენში რიგიანი ზამთარი არ დამდგარა და მთებში კი გზები კიდეც გაფუჭებულა მლეთსა და ყაზბეგს შუა, ისე რომ ორის დღის განმავლობაში ფოსტა არ მოსულა რუსეთისა. მხოლოდ გუშინ მივიღეთ გზაში დაყოვნებული მთელი გროვა რუსეთის გაზეთებისა.

== ასტრახანთან ზღვა გაყინულა და, როგორც გაზ. «კასპში» სწერენ, გემები ვეღარ მიდიან ამ ქალაქშიო. ზოგს ისევ ბაქოში გამოუბრუნებია ზამთრად დასაბინავებლად ზოგნი კი, მშიერ-მწყურვალნი, უკვე დაბრუნებულან ბაქოში თავიანთ ტვირთითურთ.

== ერთობ მალე განისვენს თბილისის 2 გიმნაზიის მოწაფეებისათვის დაარსებულმა თავ-შესაფარმა (общежитiе). როგორც გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს ამ სასარგებლო დაწესებულებას მოუსპია თვისი არსებობა.

== ვერც მეორე ამ გვარის დაწესებულების საქმეები მიდის კარგად, შემოსავლის წყაროების ნაკლებულობის გამო. ეს ამ გვარივე დაწესებულება გახლავთ 1-ლ გიმნაზიის მოწაფეთათვის დაარსებული. განმკარგულებელმა კომიტეტმა სასესხო დაწესებულებისა ერთის თვისს სხდომაზე, ნოემბრის 15-ს გადაუწყვეტია 7 მოწაფისათვის შეიტანოს სასწავლო ფული—15 მან. თითოზე და სამს მოწაფეს მისცეს სადგომ-სახური. ამავე სხდომაზე კომიტეტმა გადასწყვიტა მადლობის მოხსენება ნაფ. ვექ. ნ. ა. ათაბეგოვისათვის და ნოტარიუსის ი. ი. პოლტარაცკისათვის, რომელთაც ხელი შეუწყვეს რაც შეიძლებოდა ამ დაწესებულების დაარსებას, სადაც ეხლა 21-დის მოსწავლე სცხოვრებს.

# კახეთის ავი და კარგი.

(შემდეგი *)

შილდაში ხალხის განმანათლებელი დაწესებულებაც არსებობს, მაგრამ ამაზე სიტყვას, სამწუხაროდ, ვერ გავაგრძელებთ, ვერ ვიტყვით ვერაფერს იმაზე, თუ რა ურთიერთობაა ამ დაწესებულებას და ხალხს შორის. ამ გაზაფხულზედ მშვენიერ შენობას აპირობენ ამ დაწესებულებისათვის, მხოლოდ იმ პირობით, თუ მის მოქმედება ხალხის სურვილისა და მოთხოვნილებას შესაფერი და შესაბამი იქნება. მასალა და ფული მზად არის ამ საქმისათვის და მხოლოდ ზამთრის გასვლას ელიან.

მგრეთვე არსებობს აქ აფთიაქი—ანუ უკეთა ვსთქვათ აფთიაქის კუდი,

(* იხილე «დროება» № 250.

---

მათ... მურმანი და ოსმალო ხომ არა ვარ —რომ სამივე შევირთო, ამორჩევა კი ძნელია... რა უნდა ვქნა? რა გადაწყვეტილებას დავადგე? მიხეილი ამ ფიქრში იყო, როდესაც საათმა შუაღამის მოახლოება შეატყობინა, ქარი უფრო ძლიერდებოდა და ისეც სულ შევიწროებულ მიხეილს უხუთავდა გულსა.

— ხვალაც კვირაა, წამოიძახა მიხეილმა, ხვალ, ხვალ დაბოლოვდება საქმე... ხვალ დაუდგება ჩემს ცხოვრებას ახალი დრო, ახალი საუკუნე... დეე, ჩაიქოლოს ჩემი აწმყო უცოლშვილო ცხოვრება და იდღესასწაულოს ცოლიანმა მიხეილმა?! გადაწყვეტილება მზად არის...

II

დილის ექვსი საათია... მიხეილი რამდენი ხანია დგას კედლის სარკის წინ და სხვა-და-სხვა ფერ ყელსახვევების არჩევანშია... ბოლოს, როგორც იყო, ამოარჩია ერთი ისეთი ყელ-სახვევი, რომელიც მართლა რომ რიგიანად მიუდგა მის სახის გამოხატულობას და მიმზიდველობა ერთი-ორად მოემატა... დღესაც კვირა, ამბობდა მიხეილი და თან ტანისამოსის ჩაცმას აჩქარებდა... დღეს კვირაა და ეს დღე ჩემი ცხოვრების «საოცნებო» მატიანეში ჩაიწერება... 9 საათზე კიდეც მზად იყო ჩვენი გმირი და ვეღარ მოითმინა, რომ მაშინვე ვიზიტზე დასავლელად არ წასულიყო.

მასწია ერთ სასახლისკენ და მალე ზარიც ჩამოაწკარუნა... ფანჯრიდგან გადმოიხედა გოგომ და გაექანა კარების გასაღებად...

— „ქნიაჟნა“ ნინა შინა ბძანდება? იკითხა მიხეილმა.

— შინ გახლავს, მაგრამ ჩაცმული არ არის, ასე ადრე სტუმრებს არ მოელოდა. გოგოს თითქო მიხეილის შეშვება არ უნდოდა, მაგრამ მიხეილმა რაღაცა წასჩურჩულა და გოგოც მაშინვე კარებს ჩამოეცალა...

— აქ, ამ მისაღებ ოთახში მობძანდით, მიაძახა გოგომ... მიხეილმა თითქო ვერ გაიგონაო და საოჯახო ოთახში ამოჰყო თავი. იქვე დაბალ მდივანზე იჯდა ახალგაზდა ქალი გახუნებული კაბით და დაუვარცხნელი აწეწილი თმით. ეს რაღასაც აკეთებდა და უცხო კაცის შემოსვლა ვერ გაიგო.

— დარიკო! სთქვა თავ-ჩაღუნულმა გასათხოვარმა, მომამზადე თუ არა «დუხები» ტუალეტისთვის.

პასუხი რომ არსაიდამ მოესმა, აიღო მაღლა თავი და მიხეილის დანახვაზე ერთი საშინელი შესწივლა. მიხეილმა კი ზდილობიანად დაუკრა თავი:

— როგორ გიკითხოთ კნიაჟნა!

მშვენიერი ნუცა მთლად აირია, წამოვარდა გიჟივით და გაიქცა მეორე ოთახისკენ. სიჩქარისაგან გზაზე ცალი ფლოსტი გავარდა.

— სამი «ანგელოზისაგან» ერილა დარჩა, გაიფიქრა მიხეილმა კიბეზე რომ ჩამოდიოდა... პირველმა ვიზიტმა ამიმღვრია სისხლი... ვინ წარმოიდგენდა, ვინ, რომ ჩემი გულის ყვავილი ასეთი დამჭკნარი და უგვარო არსება იქნებოდა... ძიდევ კარგი რომ ეხლავე შევნიშნე ეს. მიხეილი ფიქრობდა ასე და მიდიოდა წინ. ცოტახანს უკან—იგი ერთ ქვითკირის სახლს მიადგა და ჩამოაწკარუნა ზარი. ბიჭმა მაშინვე გაუღო «ბატონს» კარები. მისაღები ოთახი თავისი მდიდარი მოწყობილობით საშინელ უწესოებას წარმოადგენდა... ერთ მრგვალ სტოლზე ეყარა სათამაშო ქაღალდი და იატაკი იმითვე იყო მოფენილი... როიალზე იდგა ფოლნოსი პატარა ღვინის სტაქნებით და იქვე ახლო არეული ეყარა ჩაის ჭურჭელი... სტოლი მოფენილი იყო პაპიროზის ფერფლით და ნამწვებით, მდივნის ქვეშ ეყარა გაზეთები და იქვე ურიგოდ გაშლილ ხალიჩაზე ეგდო ფრანცუზული რომანი «Nana»... მიხეილი მინამ ამ უწესოებას მოჰკრებდა თვალით, მეორე ოთახიდგან ისმოდა ხმამაღლა ლაპარაკი:

— შე მხეცო, შენა!.. რატომ არ უთხარი მაგ ვაჟ-ბატონს, რომ მე ჯერ ჩაცმული არა ვარ?.. რატომ არ მოაგონე მაგ მხეცსა, მაგას რომ ეხლა „სავიზიტო“ დრო არ არის? ოჰ, ღმერთო!.. ჰპასუხობდა «გასათხოვარი».

— სუ, ანეტა!.. თორემ თუ გაიგონა, მაშინ დაგრჩება თვალები,—უთხრა დედამ.

— მგ ბქედგან ვერაფერს გაიგონებს, მართალია დიდ-ყურიანთ ჩამომავალი კი ბძანდება, მაგრამ კედლები სქელია და ვერ გაიგონებს... წაბძანდეს და ისწავლოს დრო ვიზიტებისა. ამ ლაპარაკს რაღაც რახვანიც მოჰყვა.

— ნელა, ქალო, თორემ, ხედამ, შენი კაპასობით ჩაიჩივს ყური მოაგდებინე.

— ჩემთვის სულ ერთია, სთქვა განრისხებულმა ქალმა: ბრაზზე მოვდივარ, როდესაც მაგისთანა სულელური ქცევას ვხედამ.. ბიჭო! წადი

რომელიც გაუხსნია ერთს ვიღაც ქალაქელ სომეხს და ასაღებს როგორი ნივთიც უნდა იყოს და რა ფასადაც ჰსურს!... ან კი ვინ უგზირავს ან წონას და ან მაზანდის? ეჰ! შილდელებო! რამდენი მუქთად მყლაპავი უფათურებს თქვენს დაცარიელებულს ჯიბეებს თავის ბინძურ ხელებს?!...

+

აქ ჯერ არ არსებობს სასოფლო ბანკი და არც სასოფლო დუქანი (დეპო). ხალხი თითქმის მზად არის სასოფლო დეპოს გასახსნელად — ზოგიერთებმა ფულიც შეიტანეს, მაგრამ თუ მეთაური არ არის, საქმე საფუძველ გამოცლილია! მეთაური არა ჰყავს ხალხს და თვითონაც გამოცდილი არ არიან ვაჭრობაში, თორემ აქ, დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხს სასოფლო დეპო. ახლა გლეხები იბეგრებიან მოვაჭრეებისაგან, და მაშინ კი შეიძლებოდა თვითონ ეს მოვაჭრეები გაებეგრა ხალხს.

არ შემიძლია არ ვუსაყვედურო თბილისელ განათლებულ და მოწინავე საზოგადოებას, რომელსაც, მცირე ოდენიც არის, ხალხის კეთილდღეობისთვის გული უნდა შესტკიოდეს, რომ თბილისში არა აქვთ ერთი იმისთანა „ცენტრალური“ დეპო, საიდგანაც შეეძლოს სასოფლო დეპოებს გულ-მინდობით საქონლის გამოწერა; რომ ეს დაბრკოლება არ უშლიდეს ხელს — დღეს მზად არიან გახსნან დეპოები თელავის მაზრის შემდეგს სოფლებში: შილდაში, ენისელ-ზრემ-ალმატ-საბუეში, ყვარელში, ზავაზში, ახმეტაში, და სხვაგან. ძლიერ კარგს იზამს თელავის დამზოგველი ამხანაგობა, რომ მიაქცევდეს ყურადღებას შილდელების დღევანდელ მდგომარეობას, და გახსნიდეს შილდაში თელავის დეპოს განყოფილებას, რომელიც, როგორც თელავის დამზოგველ ამხანაგობას, — ეგრეთვე შილდაში მცხოვრებთ დიდ სარგებლობას მოუტანდა და ორი წლის განმავლობაში — ეჭვი არ არის — სამასზედ მეტ წევრს შეიძენდა შილდაში მცხოვრებ გლეხთა შორის. და შემდეგ, როდესაც გლეხები გამოიცდებოდენ და თვალ-და-თვალ დაინახავდენ, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს სოფელში ხალხისთვის დეპოს, მაშინ შეიძლება თელავის დამზოგველმა ამხანაგობამ სრულებით გადასცეს სოფელს თვისი დეპოს განყოფილობა. ამითი ის გამოიხსნიდა ვაჭრებისაგან სოფელს, და შილდის მტარვალებსაც ცოტა ოდნად ფთას შეაკვეცდა... მაშინ შეეძლო ბანკიც გაეხსნა სოფელს და დღეს რომ ხუთ თუმანში ათ საპალნე ღვინოს იხდიან — ის თავიანთვე ჯიბეებში დარჩენოდათ. მაშინ შეიძლება დაემსახურებინა თელავის დამზოგველ ამხანაგობას კურთხევა ხალხისაგან ჩვენი პოეტის სიტყვებით:

„ქურთხეულ-იყოს თავადი
ერთგული, ხალხის მოყვარე
გასანათლებლად ბნელისა
სხივთა მფენელი, ვით მთვარე,

—

ამმაღლებელი ხალხისა
თვით ამაღლდება ცათამდე,
ზაითქმის მისი სახელი
ამიერ უკუნისამდე და სხვა“.

მეთვალყურე.

## წერილი რედაქტორთან

—

ბატონო რედაქტორო! «დროების» 244 ნომერში დაბეჭდილი იყო, რომ ვინმე ორჯონიკიძე, სოფელს ღორეშს მცხოვრები (შორაპნის მაზრის), დიდის ხვეწნით სთხოვს ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორს და მასწავლებლებს მისი ძმა სილიბისტრო ორჯონიკიძე, რომელსაც წელს სექტემბერში კენჭი შეხვდა მიღებისათვის, მაგრამ მცირე-წლოვანობის გამო მიღებულ არ იქმნა, მერმის მაინც მიიღონო. ამის შესახებ შეკრებილ იქმნა ცნობა და აღმოჩნდა, რომ სილიბისტრო ტიმოთეს-ძე ორჯონიკიძე, შორაპნის მაზრის სოფელს ღორეშს მცხოვრები მიღებულია წელს სექტემბერში ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში, მაგრამ ჯერაც არ გამოცხადებულა, რაიცა უთუოდ იმისაგან წარმოსდგა, რომ მისი პატრონი, რომელმაც ითხოვა მისი მიღება ერთობ აჩქარებულა, არ დაუცდია საქმის გადაწყვეტისათვის და საზოგადო გამოცხადებისათვის, თუ ვინ იქმნა მიღებული და ვინ არა და მიტომ ვერ გაუგია დღემდის, რომ ყმაწვილი მიღებულია.

ქუთაისის სათავად-აზნაურო
სასწავლებლის ინსპექტორი.

ალ. ჭიჭინაძე.

ნოემბრის 16-ს.

## რუსეთი

—

დღემდის თითქმის უნაყოფოდ რჩება, როგორც ქ. ოდესის მთავრობის აგრეთვე ოსმალეთში სტამბოლის რუსის საელჩოს მეცადინეობა, რომ რაიმე ზომით ხელი შეუშალოს საზიზღარს ვაჭრობას ცოცხალი საქონლისას; ოდესა ითვლება სავაჭროდ, საიდამაც ოსმალეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში გადაჰყავთ რუსის ქალები და დიდს ფასად ასაღებენ. თუმცა, როგორც მოიხსენეთ, ოდესის მთავრობა და რუსის საელჩონიც ოსმალეთში ყოველის ღონისძიებით ცდილობდენ ამ გვარ წარმოების მოსპობას, მაგრამ ამ შემოსავლიანის საქონლით მოვაჭრენი, მოიჯარადრენი, იმდენად დახელოვნებულან, რომ თითქმის ყოველი გემი სტამბოლიდამ ოდესაში მოსული მოიყვანსო თურმე რამოდენიმე რუსის ქალიშვილს, რომელიც ოსმალეთის ერთს თუ მეორე ქალაქში, უფრო ხშირად სტამბოლში, რის ყოფით და ვაი-ვაგლახით დაუხსნიათ „საროსკიპო სახლებიდამ.“

—

ამ ახლო ხანებში ტელეგრამამ მოიტანა მოკლე ცნობა სანოტარიუსო წესების შეცვლის შესახებ. ეხლა რუსულ გაზეთებში ამ საგნის შესახებ დაბეჭდილია ვრცელი შენიშვნები, რომლებითაც ვსარგებლობთ. იუსტიციის სამინისტრო შეუდგაო, იწერებიან გაზეთებში, ნოტარიალურის ნაწილისთვის ახალის წესების შემოღებას. ამ წესებით შეიცვლებაო დღემდის არსებული პირობანი ნოტარიუსების დანიშვნისა და უფლებათა შესახებ. ნოტარიუსების რიცხვი უნდა შეესაბამებოდეს ადგილის მცხოვრებთა რიცხვს. როგორც დღემდის, ისე კვლავაც ნოტარიუსების დანიშვნისა და გადაყენების ნება ექმნება უფროსს თავს-მჯდომარეს სამსაჯულო პალატისა უმახლობელესის ოლქის სამსაჯულოს თავს-მჯდომარის წარდგინების

---

უთხარი რომ ეხლავ მოვალთქო. მდიდარი არ იყვეს — მე ვიცოდი, როგორ შევუშვებდი სახლში მაგისთანა უზრდელს. როდესაც 15 წამის შემდეგ მშვენიერი ქმნილება აპრანჭულ-დაპრანჭული კაბით და ტიურნიურით მიხეილის სანახავად სასტუმრო ოთახში გამობრძანდა, ოთახი ცარიელი დახვდა. სტოლზე სავიზიტო ნიშანი ეგდო და მასზედ ეს იყო წარწერილი:

«პატივის ცემით მოგილოცავთ დღესასწაულს

დიდ-ყურაანთ ჩამომავალი.»

ქნიაჟნა ნინამ ერთი საშინლად შესწივლა და სავიზიტო ნიშანი ხელიდგან გაუვარდა. მაიმე, **maman**! იმას სუყველაფერი გაუგონია!

— ოხ, ნუცა!... გამოჩნდა დედის დალეჩემილი პირისახე კარებში; დედამ კინაღამ შესჭამა თვალით თავისი ქალი, ისეთი მრისხანებით დაუწყო ცქერა. — მგრეთი მდიდარი კაცი და ხელიდგან კი დაგვისხლტა... რა ჰქენი, შვილო ეგ?!

მიხეილი თავ-ზარ დაცემული მიდიოდა წინ და ცოტა ხანს უკან ერთ პატარა სახლის კარებს მიადგა... აქა სცხოვრობდა სპირიდონ დიდგულაძე თავის ქალით და სხვა წვრილშვილებით... ამათი შეძლება ძლივსა სწვდებოდა სპირიდონის „დიდ“ ოჯახს, სახლი კი მდიდრულად ჰქონდათ მორთული.

ახალგაზდა გოგომ მიხეილს გაუღო კარები და მოკრძალებით შეჰხედა მას.

— ჩვენი ბარიშნა ასე ადრე არავის ელოდა!

— არა უშავსრა, უპასუხა მიხეილმა, მე აქ დიდი ხანი არ დავრჩები; სთქვა ეს და გასწია პირ და-პირ სასტუმრო ოთახისკენ.

ბუხარში ცეცხლს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა... ახლად ამოსული მზის სხივები შეიჭყიტებოდენ ფანჯრებში და იქვე დაწყობილ ყვავილებს ეკიდებოდენ საკოცნელად... დიდ სტოლთან ატუზულიყო ერთი მშვენიერი ფიგურა უბრალო სამოსლით მოსურვილი. — მას ეჭირა ხელში მშვენიერის ყდით დაკაზმული წიგნი და ფურცლავდა... ეს იყო „ბარიშნა“ თებრო, რომელიც თავისი ბუნებრივი უბრალოებით და უმანკოებით მტრედს მოგაგონებდათ და სიმშვენიერით კი მზის სხივსაც შეეკამათებოდა. ისე ბჭყვინავდა და ელვარებდა მისი თვალები, რომ მიხეილს ყველა ეს სიზმარშიაც არ მოსჩვენებოდა

— როგორ გიკითხოთ, მამხელ!

თებრო სირცხვილით მთლად დაიწურა და წიგნს მაგრა ჩაუჭირა ხელი, თითქო ართმევს ვინმეო.

— მე ასე ადრე არ მოველოდი სტუმრებს, სთქვა თებრომ, და რადგანაც ინებეთ მობძანება — მიშველეთ კიდეც ოთახის დალაგება.

— დიდი სიამოვნებით, უთხრა მიხეილმა.

— და მერე კი, განაგრძო თებრომ, უნდა სადილის მზადებას შევუდგე და ჩემ პატარა ძმებს ტანისამოსი მოვუმზადო. ეს ამას იმისთვის ამბობდა, რომ მიხეილისთვის ეგრძნობინებინა; „მე არა მცალიან, მალე წადიო“.

— ზანა სუყველა ამას თქვენ აკეთებთ, განკვირვებით იკითხა მიხეილმა.

— მე ამაზედ უფრო ძნელ საქმეებსაც ვაკეთებ ხოლმე.

მიხეილის გრძნობებმა გაიღვიძეს, გულის ცეცხლი ეფთო და მის სახეს მოაწვა აუარებელი სისხლი. მიხეილს რიღასიც თქმა უნდა, მაგრამ ვერ მოუფიქრია, რა გვარადა სთქვას... მიხეილს თავბრუ ესხმის — ტანი ეჭინჭრება, ხელები უკანკალებს — მაგრამ... ვერ... ვერ ამბობს იმას... რისაც თქმა დიდი ხანია უნდა

— თქვენ რაღაც მღელვარებას გატყობთ, მიხეილ დიმიტრიჩ! — უთხრა თებრომ.

— ჰო... ისე... ვფიქრობ, როგორ მოვახერხო იმის თქმა — რისიც თქმა მინდა... საქმე ის არის, რომ მე დღეს იმისთვის მოვედი, რომ უნდა საჩუქარი რამე მოგართვათ... მიიღებთ თუ არა?...

— ეგ იმაზეა დამოკიდებული — რა გვარი საჩუქარი იქნება. მამაჩემი სულ იმას მიმეორებს: ყვავილების მეტი საჩუქარი არა მიიღო-რაო...

— არა, მე ყვავილების ჩუქება არ მინდა, მე მინდა — თქვენ გაჩუქოთ... გაჩუქოთ ჩემი გული, ჩემი სული და მთლად ჩემი არსება? მიიღებთ-თუ არა ამ გვარს საჩუქარს — ყვავილების ნაცვლად.

თებროს თავბრუ დაეხვა, წიგნი გავარდა ხელიდგან და დააპირა გაქცევა... მიხეილმა დაუჭირა ხელები, მიიკრა გულზე და ამ მდგომარეობაში დარჩა რამდენიმე წამი. არჩევანიც გათავდა... თებროს ბუნებითმა უბრალოებამ და სიკეკლუცემ თავისი გაიტანა... მიხეილი დაბრუნდა შინ და თავისი თავი უკვე ცოლიანად წარმოიდგინა.

ალ. ნ — ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით; მხოლოდ სანამ ახალი ნოტარიუსი დაინიშნებოდეს სადმე, ოლქის სამსაჯულოს თავმჯდომარემ წინაპირველ უნდა შეატყობინოს ხოლმე ადგილობრივს გუბერნატორს, ხომ არ არის რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი ამ პირის ნოტარიუსად განწესებისათვის. ბირაო, რომელიც ნოტარიუსმა უნდა შეიტანოს ოლქის სამსაჯულოში, შეესაბამება იმ ადგილის (საგუბერნიო თუ სამაზრო ქალაქისა და დაბის) ვითარებას, სადაც ის იქნება დანიშნული.

—

დღემდის რუსეთის მთავრობა პორტასთან (ოსმალეთის მთავრობა) შეთანხმებით ავაზაკებს ბოსფორით აგზავნიდა ხოლმე კუნძ. სახალინზე. ამ ჟამად „ჰავასის სააგენტომ" აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ რუსეთმა მოსთხოვაო პორტას ბოსფორზე თავისუფალის გასვლის ნება, თუ ვინიცობაა მას, რუსეთს, ჯარების გადაყვანა დასჭირდა კუნძ. სახალინზე და ბერინგზე. ეს თხოვნა ვერაფრად სჭაშნიკებია ინგლისს. გაზ. „ტაიმსი" ამ საგნის შესახებ იწერება, რომ რუსეთის ამ თხოვნის აღსრულება დაარღვევს ხალხთა შორის დაარსებულს პირობათაო. მაგრამ ინგლისი უფრო სხვა რამეს შეუფიქრებია. რაკი რუსეთი ჯარს აგროვებს აღმოსავლეთის კუნძულებზე, მაშინ ინგლისის სამფლობელოთა მდგომარეობა შეიძლება ადვილად შეიცვალოს, შეიძლება ძალიან შეფერხდეს ავტორიტეტი ინგლისისა ამის საკუთარს სამფლობელოებზე, რადგან რუსეთსაც ეგა აქვს სახეშიო. ასე რომ ამ ჟამად პორტამ შემდეგი წინადადება მისცა რუსეთს: ბოსფორის სრუტით ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 1,500 კაცის გადაყვანის ნება ჰქონდეს რუსეთს და ამაზედ წინდაწინვე აცნობოს პორტას.

## უცხოეთი.

საფრანგეთი. ნოემბრის 18-ს დეპუტატთა პალატაში იყო სჯა მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის უმთავრესს მუხლების შესახებ. ბ. ვილსონს (სიძეა რესპუბლიკის პრეზიდენტისა) განუცხადებია, რომ ეხლანდელის ფინანსების მდგომარეობა არც ისე უნუგეშოა მისის შეხედულობით; მხოლოდ რომ საბოლოვოდ საგრძნობელი წაგება არ დაგვირჩეს, თავი უნდა დავანებოთო შორეულ ქვეყნებისაკენ ჯარების გასტუმრებას და მათზედ აუარებელი ხარჯების გაწევას. ვილსონმა მოახსენა, სხვათა შორის მინისტრთა პრეზიდენტის, ბ. ფერისაგან წარმოთქმული აზრი ხალხზე ახალის გადასახადების დადებაზედ შემოსავალ-გასავლის გათანასწორებისათვის. ფერიმ მიუგო ამაზედ, რომ ამ გვარის გადასახადების დადების შემოღება არ უფიქრია მას; რომ ეს აღარ ეჭირვება ეხლა საფრანგეთს, ფინანსიურის მხრით ისედაც ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნილს.

ოსმალეთი. ინგლისურს „პალმალ გაზეთში" დაბეჭდილი იყო ამ ახლო ხანებში რამდენიმე შენიშნვა ემილ დე-ლაველესი, სადაც აღწერილი იყო, თუ როგორ ბარბაროსულად მოეპყრობიან მაკედონიაში ბოლგარიელებს ოსმალები. ამ გარემოების გამო ოსმალეთის საელჩომ ბრიუსელში წინააღმდეგი ცნობა გამოაცხადა გაზ. „ინდეპანდან ბელჟ"-ში. ამავე ცნობასთან ერთად ხსენებულს გაზეთს მოსვლია ლონდონიდამ ტელეგრამა, რომლითაც მტყუნდება ვითომ ბარბაროსული მოქმედება ოსმალელთა ბოლგარიელების წინააღმდეგ. ამ ერთს შემთხვევაში კი გაიმართლა ოსმალეთის მთავრობამ თავი, მაგრამ მეორეში ერთობ პირ-შავად დარჩა. სტამბოლის მახლობლად ამას წინად გაცარცვეს ერთი ფოსტა და კარგა ძალი ფული გაიტანეს. მთავრობა მაშინვე ჩასახლებულ ჩერქეზებს დააფრინდა და რამდენიმე ჩერქეზი კიდეც დაატყვევეს. მაგრამ თვით ხონთქარის წინაშე წარსდგაო ამ დროს ნაიბი ამ ჩასახლებულის ჩერქეზებისა თავის მოძმეთა დასაცველად. აიღო ნება-რთვა ხონთქრისგან, გამოიძიოს ეგ საქმე—და, რა აღმოჩნდა: ის, რომ დამნაშავენი სულ სხვანი, თვით ოსმალნი ყოფილიყვნენ და საწყალს ზედისაგან დაჩაგრულთ, სამშობლოს გამოთხოვებულს ხალხს უბრალოდ სჩაგრიდენ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

ნოემბრის 20.

პეტერბურგი. ხმებია, რომ სარკინის-გზო კომისიამ, რომელიც გრაფ ბარანოვის თავს-მჯდომარეობით არსებობდა, მოსპო მოქმედება. ამ კომისიის კანცელიარია შეუერთდება სახელმწიფო კანცელიარიას.

ნოემბრის 18 გარდაიცვალა ცნობილი რომანისტი ბოლესლავ მარკევიჩი.

ხარკოვი. სამსაჯულო პალატამ დაამტკიცა გამამტყუნებელი აქტი ტაგანროგის ტამოჟნისა მოხდარს ბოროტ-მოქმედებათა შესახებ. ბრალდებულთა რიცხვი 38, ამათგან 18 სამსახურის პირნი არიან და ამათში ურევია ტამოჟნის მმართველიც ნიკიტენკო. კერძო პირთაგან ბრალდებულთა შორის არის ცნობილი მილიონერი მარიი ვალიანო. საქმის განრჩევა დანიშნულია თებერვლის შუა რიცხვებისათვის. ასზე მეტი მოწმეა.

პარიჟი. დიპლომატიურის აგენტისაგან მოვიდა მოწერილობა, რათა აცნობონ უველა სახელმწიფოთა, რომ ხოლერა სრულიად მოისპო საფრანგეთში და მისცენ მათ წინადადება აიღონ კარანტინები.

ლონდონი. საზოგადო პალატამ მიიღო ახალი სია ამომრჩეველთა, რომლის ძალითაც პალატას შეემატება თორმეტი წევრი.

ბერლინი. კონფერენციამ მიიღო კომისიისაგან შედგენილი პროექტი თავისუფალ მიმოსვლაზე კონგოს მიდამოში.

## ცნობანი

სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა | —1 | გირ. | 5 კ. |
| ადგილობრივის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა | —1 | გ. | 6 კ. |

## განცხადებანი

ვპირთავ

მოვ მოვლილ ჩაკერავ მაშინებს ყოველ გვარის ფაბრიკისას, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, მირიმანოვის სახლებს ქვეით, არჯევანიძის სახლებში, № 13. შესავალი ეზოზეა.

(3—1) ფ. კინცელი.

0000000000000000000000000000

### ამერიკანკა

სასარგებლო ავეჯი ყოველის ოჯახისათვის თეთრეულის გასარეცხად უბრალო ოთახის წყალში. ხარჯი უნდება ერთობ მცირე და რეცხვას მცირე წლოვანნიც მოახერხებენ. იწვევენ აგენტებს. ფასი მორთულობისა გაგზავნით ფოსტით—5 მან.; ციმბირში—8 მან. მორთულობასთან ერთად დარიგებაც იგზავნება. ადრესი: საგუბერნიო აგენტს რუსის მშლეველ საზოგადოებისას, ვ. შლემენზონს, ქ. სიმფეროპოლს.

ცნობა:

1) მ. ხ. ბენიამინე ილიასძევ! თქვენგან მიღებული ავეჯი სარეცხისათვის უკილო გამოდგა. ამისათვის ამასთანავე გიგზავნით ხუთს მანათს და უმორჩილესად გთხოვთ გამოგზავნოთ კიდე ერთი ამერიკანკა, ამ ადრესით: დონის ჯარის ოლქში, სერებრიაკოვის ფოსტის კანტორაში ბლაღოჩინს სტეფანე დონეცკის. მოწერილია: ს. დონეცკი. 1884 წ. თებერვლის 6.

2) მ. ხ. უმორჩილესად გთხოვთ, კიდე გამომიგზავნოთ ერთი ავეჯი სარეცხისა, ფულს ამასთანავე გიგზავნით. ზოლიერთადს მადლობას გიძღვნით ამ გვარის გამოსადეგ ავეჯისათვის. მალად ვრაცხ გაცნობოთ, რომ სევსკიდამ ბევრსაჰსურთ გამოიწერონ «ამერიკანკა». ადრესი: სევსკი, ორლ. გუბერ. დუმარევსკების სახლი, მღვდლისაბედ ალექსის ასულს აფანასენკოსას, 1884 წ., აგვისტოს 27. (2—1)

0000000000000000000000000000

### დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში, თხზ. ანტ. ფურცელაძისა, წიგნი მეორე, რომელშიაც სხვათა შორის დაბეჭდილია ტრაგედია

**დიდი მოურავი**

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი მანათი.

(3—3)

### ძიძა

ეძებს ძიძის ადგილს.

ადრესი: ნემეცების სასაფლაოსთან, ბეო ასლამაზოვის სახლი. (3—3)

(იხილეთ მეხუთე გვერდი)

Доз. ценз. Тифлисъ, 20 Ноября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.